დამტკიცებულია რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია 2017 წლის 4 ოქტომბრის N2741-02 და 10 ოქტომრის N2961-03 ბრძანებებით

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც დამოუკიდებლად არსებული პროგრამის განხორციელების, მასზე მიღების, სერტიფიკატის გაცემისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მარეგულირებელი წესი

,,წინამდებარე წესი არეგულირებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც დამოუკიდებლად არსებული პროგრამის განხორციელების, მასზე მიღების, სერტიფიკატის გაცემისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსთან დაკავშირებულ პროცედურებს. არსებული წესი ხელმძღვანელობს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 24 ოქტომბრის #923 ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის #142/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესს" .

მუხლი 1. მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებული პროგრამის განხორციელება

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, როგორც დამოუკიდებლად არსებულ პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მმსპ) მოცულობაა 60 კრედიტი, ხოლო მინიმალური ხანგრძლივობა - 1 წელი.
2. დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული კრედიტების საერთო რაოდენობიდან არანაკლებ 10 კრედიტი ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს.
3. დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესით" (პუნქტები: 3, 3^1, 3^2, 4, 6,7,7^1, 7^2, 8, 8^1,9^1,10,12,13,14,16).

,,მუხლი 2. მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებულ პროგრამაზე მიღება და ჩარიცხვა

1. დამოუკიდებლად არსებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანებით განსაზღვრული ვადებისა და მოთხოვნების შესაბამისად.
2. აპლიკანტთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის

წარდგენის შემდეგ.

3. დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანთლებლო პროგრამის აპლიკანტი შეიძლება იყოს ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც მიღებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის #36/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის“ (შემდგომში – ეროვნული სასწავლო გეგმა) შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი, წარმატებით აქვს ჩაბარებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 სექტემბრის #124/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგნის გამოცდის ჩატარების წესით“ (შემდგომში – საგნის გამოცდის ჩატარების წესი) გათვალისწინებული იმ საგნის გამოცდა, რომლის შესაბამისი აკადემიური ხარისხიც/განათლებაც აქვს და დარეგისტრირდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე.
4. 2021 წლის ბოლომდე აპლიკანტი შესაძლებელია იყოს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების საფუძველია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული იმ საგნის გამოცდის ჩაბარება, რომლის სწავლებაც სურს მას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, უნივერსიტეტს წარუდგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, პირი ჩარიცხოს მის მიერ ჩაბარებული შესაბამისი საგნისა და საფეხურის გამოცდის შესაბამის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამის მოდულზე.
5. დამოუკიდებლად არსებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია საგნის გამოცდის ჩატარების წესით გათვალისწინებული, შესაბამისი საგნისა და საფეხურის გამოცდისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული საგნის გამოცდისგან თავისუფლდებიან:

   ა) პირები, რომლებიც ფლობენ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და საგნის გამოცდის ჩატარების წესის შესაბამისად, ამ წესის დამტკიცებამდე წარმატებით აქვს დაძლეული საგნის გამოცდა;

   ბ) პირები, რომლებიც ფლობენ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და წარმატებით აქვთ ჩაბარებული "მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებისა და მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის #1101 ბრძანებით გათვალისწინებული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი.
7. მე-4 პუნქტში მითითებული საგნის გამოცდა განისაზღვრება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.
8. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ აპლიკანტი გადის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე, რომლის შინაარსი, ჩატარების ფორმა და გამოცდის ჩატარებასთან დაკავშრებული პროცედურები აისახება შესაბამის დოკუმენტებში (პროგრამის კურიკულუმი/აღწერა, მიღების დოკუმენტები და ა.შ.).
9. დამოუკიდებლად არსებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცისთან და ამ მუხლით მე-7 პუნქტით განსაზღვრულ გამოცდასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. უნივერსიტეტი, მის მიერ განსაზღვრული გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, ქმნის რანჟირების დოკუმენტს.
11. რანჟირების დოკუმენტში ხდება მხოლოდ იმ აპლიკანტების გათვალისწინება, რომლებმაც წარმატებულად ჩაბარეს საგნის გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა. აპლიკანტების რანჟირება ხდება პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.
12. დამოუკიდებლად არსებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.
13. აპლიკანტის ჩარიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი აფორმებს აპლიკანტთან შესაბამის ხელშეკრულებას.
14. ერთდროულად ორ საგანმანთლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე პირი ვალდებულია სრულად დაიტვირთოს სემესტრულად 30 კრედიტით.
15. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებების საფუძველზე, უნივერსიტეტი ადგენს რექტორის ერთიან აქტს, რომლის გამოცემის შემდეგ აპლიკანტი ირიცხება დამოუკიდებლად არსებულ მასწავლებლოს მომზადების გადანმანთლებლო პროგრამაზე. უნივერსიტეტის მიერ შედგენილი რექტორის ერთიანი აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
16. უნივერსტიტი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ვადისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დადგენილი წარდგენის ფორმის შესაბამისად.

მუხლი 3. მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებულ პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

1. დამოუკიდებლად არსებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებად განიხილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების საფუძველია: პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება, შემოდგომის სემესტრში არაუგვიანეს 27 ოქტომბრისა, ხოლო გაზაფხულის სემესტრში არაუგვიანეს 27 მარტისა სასწავლო კურსებზე ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში" დაურეგისტრირებლობა, ასევე როცა პირს არ აქვს სრულად დაძლეული საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები და ამ წესით გათვალისწინებულ ვადაში არ მიუმართავს უნივერსიტეტისათვის სწავლის გაგრძელების თხოვნით, ან უნივერსიტეტის წესდებითა და სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა გარემოება.
3. იმ პირთა სია, რომლებიც სემესტრის დაწყებიდან მესამე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ დარეგისტრირდებიან შესაბამისი სემესტრით განსაზღვრულ სასწავლო კურსებზე

ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, ასევე პირები, რომლებიც არ გააფორმებენ დამატებითი სემესტრის საჭიროების შემთხვევაში სწავლის გაგრძელების შესახებ ხელშეკრულებას შესაბამისი პასუხისმგებელი ფაკულტეტის/სკოლის მიერ მომდევნო დღეს წარედგინება რექტორს მათთვის სტატუსის შეჩერების მიზნით.

4. სტატუსის შეჩერების თხოვნით, პირმა უნივერსიტეტს განცხადებით უნდა მიმართოს შემოდგომის სემესტრში არაუგვიანეს 27 ოქტომბრისა და გაზაფხულის სემესტრში არაუგვიანეს 27 მარტისა. ამ ვადის დარღვევით გაკეთებული განაცხადი არ განიხილება უნივერსიტეტის მიერ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. შეჩერებებული სტატუსის აღდგენის მიზნით ან სემესტრის დამატების/ სწავლის გაგრძელების მიზნით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს აღდგენის/ სწავლის გაგრძელების შესახებ სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. შემოსული განცხადებები ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტს/სკოლას დასკვნისათვის. იმ პირთა განცხადებები, რომლებიც ზემოთხსენებული ვადის დარღვევით მიმართავენ უნივერსიტეტს სტატუსის აღდგენის და სემესტრის დამატების თაობაზე, დაკმაყოფილებული იქნება ფაკულტეტის/სკოლის რესურსების გათვალისწინებით, ფაკულტეტის/სკოლის დეკანის თანხმობის შემთხვევაში.
6. სტატუსის აღდგენა და სემესტრის დამატება არსებული რესურსისა და იმ პერიოდში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ხორციელდება ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აქტში მიეთითება, რომელი სასწავლო წლიდან და სემესტრიდან შეუძლია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს სწავლის განახლება.
7. დამოუკიდებლად არსებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: პირადი განცხადება, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, გარდაცვალება, არაეთიკური ქმედების განხორციელება, რომელსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის წესდებისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი, ქმედება, რომელმაც მატერიალურად მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა უნივერსიტეტს, ან აქტიური სტატუსის მქონე პირის მიერ ჩარიცხვიდან ერთი აკადემიური წლის შემდეგ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა რაც გულისხმობს ჩარიცხვიდან აქტიური ერთი აკადემიური წლის შემდეგ ხუთი ან ხუთზე მეტი სასწავლო კურსის დაუძლევლობას.
8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი, არ განიხილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების რეგისტრაციას.
10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა შეიძლება განხორციელდეს სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით.“
11. იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან გამოცხადებული იქნა დასრულებულად (არ იქნა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული)

უნივერსიტეტი არ იღებს ვალდებულებას სტატუსშეჩერებულ პირს გაუწიოს მომსახურება.

12. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016-2017 სასწავლო წელს ჩარიცხული პირი პირველ და მეორე დამატებით სემესტრში სწავლის საფასურს იხდის გასავლელი კრედიტების პროპორციულად, ხოლო ყოველ შემდეგ დამატებით სემესტრში -სემესტრის/სასწავლო წლის გადასახადს გასავლელი კრედიტების ოდენობის მიუხედავად, იმ ტარიფების შესაბამისად, რაც დადგენილი იქნება შესაბამის სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის. 2017-2018 სასწავლო წელს და მომდევნო წლებში ჩარიცხული პირები დამატებითი სემესტრის/სემესტრების შემთხვევაში, გასავლელი კრედიტების ოდენობის მიუხედავად, გადაიხდიან სემესტრის/სასწავლო წლის გადასახადს სრულად იმ ტარიფების შესაბამისად, რაც დადგენილი იქნება შესაბამის სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის. ორივე შემთხვევაში ფორმდება მხარეებს შორის ხელშეკრულება.(დამატება ბრძN2961-03. 10.10.2017)

მუხლი 4. მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებულ პროგრამის სერტიფიკატის შემუშავების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესი

4.1. სერტიფიკატის შემუშავება, გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება

1. სერტიფიკატის ფორმებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახური შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე კი სერტიფიკატის კონკრეტულ ფორმებს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. სერტიფიკატი არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2017 წლის 19 სექტემბრის N2586-02 ბრძანებით.
3. სერტიფიკატის რეკვიზიტები და დანართის რეკვიზიტები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის #142/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესით“.
4. სერტიფიკატის რექტორის მიერ დამტკიცებული ფორმა ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და იტვირთება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში. ასევე, სერტიფიკატის დამტკიცებული ფორმის ერთი ეგზემპლარი იგზავნება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
5. სერტიფიკატის ფორმებით მომარაგებას უნივერსიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად.
6. სერტიფიკატის ფორმების შეკვეთას უნივერსიტეტი აწარმოებს ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" და ,,გ" ქვეპუნქტების თანახმად პოლიგრაფიულ საწარმოში, ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.
7. სერტიფიკატის ფორმები ინახება დიპლომების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან. შენახვა ხორციელდება ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.
8. სერტიფიკატის ბლანკები უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილას, ცეცხლგამძლე სეიფში. სათავსო, სადაც ინახება სერტიფიკატის ფორმები უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.
9. დიპლომების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი შესაბამისი მონაცემების მიხედვით ავსებს ჟურნალს (დანართი 1), რომელიც აკინძულია და ინახება უნივერსიტეტის დიპლომების განყოფილებაში..
10. გამოსაყენებლად უვარგისი სერტიფიკატის ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;
ბ) ბლანკის ფიზიკური დაზიანების გამო;
გ) გაცემული სერტიფიკატის გამოსაყენებლად უვარგისად გახდომის შემთხვევაში;

11. გამოსაყენებლად უვარგისი სერტიფიკატის ჩამოწერა უნდა მოხდეს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის სხდომის სათანადოდ შედგენილი ოქმისა და ჩამოწერის აქტის (დანართი 2) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი სერტიფიკატის ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილ უნდა იქნას სერტიფიკატის ჩამოწერის აქტში.
12. გამოსაყენებლად უვარგისი სერტიფიკატების უტილიზაცია ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. სერტიფიკატის გაცემა

1. დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის შესრულება და 60 კრედიტის დაგროვება.
2. დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი .
3. ფაკულტეტი/სკოლა, სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს ერთი თვისა იმ კურსდამთავრებულთა მონაცემებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასევე, ფაკულტეტის/სკოლის შესაბამის გადაწყვეტილებასა და უნივერსიტეტის რექტორის მიერ მასწავლებლის მომზადების პროგრამაში მონაწილე პირებისთვის დამტკიცებულ(4.09.2017. N1892-03), შევსებულ ინფორმაციულ ბარათებს წარუდგენენ დიპლომების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მათი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში შემოწმებული ინფორმაციული ფორმები წარედგინება რექტორს, რის საფუძველზეც იურიდიული სამსახური ამზადებს სამართლებრივ აქტს სერტიფიკატის გაცემის შესახებ.
4. სერტიფიკატები ივსება და გაიცემა დიპლომების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის (დიპლომების განყოფილება) მიერ. გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვა ხდება მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატებისა და დუბლიკატების ერთიან რეესტრსა და, დამატებით, დალუქულ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც მიეთითება: მფლობელის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, სერტიფიკატის ნომერი, სერტიფიკატის გაცემის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი. სერტიფიკატის მიღებას მფლობელი ან მისი რწმუნებული პირი ადასტურებს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.
5. ფაკულტეტები/სკოლები დიპლომების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს წარუდგენენ სერტიფიკატის დანართის შევსებულ ფორმებს.
6. მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი გაიცემა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულზე ან მის რწმუნებულ პირზე, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში(რწმუნებულება რჩება უნივერსიტეტში). სერტიფიკატის მფლობელი ან რწმუნებული პირი ხელმოწერით ადასტურებს სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართის მიღების ფაქტს სერტიფიკატის რეგისტრაციის ჟურნალში.
7. სერტიფიკატის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი/სკოლა ვალდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ატვირთოს სერტიფიკატის/დუბლიკატის ელექტრონული ასლი, აგრეთვე ასახოს შემდეგი მონაცემები: სერტიფიკატის/დუბლიკატისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების

სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი/სკოლა ვალდებულია, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას რეესტრში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

4.3. სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა

1. პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი, გაიცემა სერტიფიკატის დუბლიკატი.
2. დუბლიკატის შედგენისას ივსება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი". შტამპი ,,დუბლიკატი" დაისმის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.
3. თუ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით არ დგინდება სერტიფიკატის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შესაბამისი სრული ინფორმაცია, დუბლიკატში აისახება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. დუბლიკატის რეგისტრაცია ხდება მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატებისა და დუბლიკატების ერთიან რეესტრში და, დამატებით, დალუქულ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც მიეთითება: მფლობელის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, სერტიფიკატის დუბლიკატის ნომერი, გაცემის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი. სერტიფიკატის დუბლიკატის მიღებას მფლობელი ან მისი რწმუნებული პირი ადასტურებს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.
5. დაკარგული სერტიფიკატის მფლობელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
   ა) განცხადება რექტორის სახელზე;
   ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან სერტიფიკატის დაკარგვის შესახებ;
   გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
6. სერტიფიკატის გამოსაყენებლად უვარგისად გახდომის შემთხვევაში, სერტიფიკატის მფლობელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
   ა) განცხადება რექტორის სახელზე:
   ბ) სერტიფიკატის ორიგინალი;
   გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
7. უნივერსიტეტი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გასცემს სერტიფიკატის დუბლიკატს ან დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემაზე უარის შესახებ.

სერტიფიკატის/დუბლიკატის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალის მონაცემები
დანართი 1

სარეგისტრაციო ნომერი	გვარი, სახელი	ჩარიცხვის წელი	დამთავრების წელი	ფაკულტეტი/სკოლა	სპეციალობა	სერტიფიკატის ნომერი	დუბლიკატის გაცემის თარიღი	პირადობის მოწმობის ნომერი	სერტიფიკატის მიღების ხელმოწერით დადასტურება	დიპლომის დანართის მიღების ხელმოწერით დადასტურება

დანართი 2

აქტი №

ქ. თბილისი

,,-----” ,,----------” 200 წელი

გამოსაყენებლად უვარგისი დოკუმენტების ჩამოწერის შესახებ

კომისია ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი სერტიფიკატის ნიმუშების ჩამოწერის სისწორეს.

საექსპერტო კომისიის თავჯდომარე:

წევრები:

მდივანი:

დიპლომების გამოყენებასა და
აღრიცხვა-ანგარიშგებაზე
პასუხსმგებელი პირი: